საქართ. მუშრცხენე სოც.-ფედერალისტთა ხარევოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000 მ. ნონპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—3 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 199, ტელეფონი 10—34.

№ 366

კვირა, დეკემბრის 10

1922

ცალ. ფასი 50ას მან. — პროვინც. 5000 მან.

6 დეკემბერს სოფ. სალოლაშენში (გორის მაზრა) გარდაიცვალა

## მაკინე ქაიხოსროს ასული ამირეჯიბისა

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მამა, შვილები, რძლები, სიძეები და შვილიშვილები. დაკრძალვა მოხდება სოფ. სალოლაშენში კვირას 10 დეკემბერს.

№ 355. 1—1

## რუსთაველის თეატრი

სახელმწიფო აკადემიური დრამა

კვირას 10 დეკემბერს

## ზინათლე

დასაწყისი ზუსტად 8 საათზე

№ 165. 1—1

ქალ. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის სამეურნეო განყოფილება ამით აცხადებს,

რომ ტფილისის ქალაქის მ. გ. მილიციის სანიმუშოებში თითოეულის

## საჭიროა ფრიად სასწრაფოდ დამზადდეს:

700 ცალი ნაბდის ქურქები, აგრეთვე 700 წყვილი ბოტინკები.

ვისაც შეუძლია 700 ცალი ქურქისათვის საჭირო რაოდენობის კარგი ხარისხის ნაბდისა და 700 წყვილი ფეხსაცმლის მოწოდება, ესთხოვ გამოცხადდეს სამეურნეო განყოფილებაში, ლ. ტოუმანოვის ქ., ყოფ. ფალიაშვილის, № 7, და თან წარმოადგინოს შესაფერი ნიმუშები ნაბდისა და ბოტინკების.

3—2 203 ქალ. აღმასრულებ. სამეურნეო განყოფილება.

გამოვიდა

## მეოცნებე ნიამორები № 8

შინაარსი:

ვ. რობაქიძე—მიწის სჯული. ხორალი.
გ. დარიანი—წერილი ანნა ახმატოვას.
პ. იაშვილი—ევროპა.
რ. გვეტაძე—მანიფესტი ვირებს.
ტ. ტაბიძე—ხეზინის ფალავანი.
ვ. გაფრინდაშვილი—ი. მანჯგალი.
შ. აფხაიძე—ხოლო სიონში.
ვ. ლაფერტი—სამგლოვიარო მარში.
ნ. ლეონიძე—ახალი მთვარე კახეთში.
ს. კლდიაშვილი—დაბრუნება.
ვ. რობაქიძე—სიტყვის რიტმი.

რედაქტორი ვ. გაფრინდაშვილი.

## სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის

ჩვენი ქვეყანა უმთავრესად სასოფლო მეურნეობის ბაზარს წარმოადგენს, მთელი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავებულია გუთნით. პური და სიმინდი შეადგენს ჩვენი სასოფლო წარმოების უმთავრეს ნაყოფს. გლეხსა და მის გუთანს ეკუთვნის სოფლის ეკონომიკის განვითარების მთელი სიმძიმე. ამიტომაც, მუშურ-გლეხური ხელისუფლების ყურადღების ცენტრი მიმართული უნდა იქნეს წვრილ სოფლის მეურნეობის ზრდა-განვითარების საქმისაკენ.

უნდა აღინიშნოს, საბჭოთა სისტემის დამყარების შემდეგ ამ მიმართულებით დიდ მუშაობას აქვს ადგილი. სოფლის სამეურნეო ცხოვრების აღორძინების, განვითარების დარგში მეტად რამ გაკეთდა, მეტი რამეს გაკეთებაც განზრახულია. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, ვერ კიდევ შორსაა ერთი წინასწარი განსაზღვრული ეტაპის სანიმუშოდ ვითარებაში გატარებისაკენ. შედარებით მენშევიკურ რეჟიმთან დიდი პლიუსებია დღევანდელ საქმიანობას სასარგებლოდ მოგვეპოვება.

საქართველოს მასშტაბით მელიორაციის გატარება ერთი უდიდესი ფაქტორთაგანია სასოფლო მეურნეობის აღორძინებისაკენ მიმართული. ბევრი მწირი ადგილები იქნება გამოყენებული. მუდამ უწყლოდ, გამოფიტულად ცნობილ მინდორ-ველებზე ახაბიბდება ჯეჯილი, ათასობით მიიღებს მშრომელი გლეხის ხელიანი მკლავები. ეს მეტად გრანდიოზული მოვლენაა სოფლის სამეურნეო ცხოვრების სადარბაზო და ზედაპირზე აღმოჩენილი.

აღსანიშნავია აგრეთვე საბჭოთა აგრარული პოლიტიკის განვლენილ. მიმდინარე წლის პრაქტიკა ადასტურებს მიწის სოციალისტური დეკრეტის შედეგებს. წერილს არც ერთი მიწის ადგილი არ დარჩენილა დაუმუშავებელი. ყველგან მისწვდა მიწის მუშის თოხი და გუთანი. ძველად, „ხომერიკიზაციის" დროს, მიდგრების მთელი წყებები იყო გამიზნულ ბული. მართალია, ამის მიზეზიც ცხოვრების მძიმეთავი ტალღები იყო. მთავარი პირობა კი მენშევიკური და ნახევრად ფეოდალური პოლიტიკაში მდგომარეობდა. მიწის მუშა მოკლებული იყო მიწას, ხოლო ძველი აზნაური, „კეთილშობილი გმირი ამა სოფლისა" ათეულ ქცევებს განაგებდა და ცხენ-კამეჩების მოშენებას აწყობდა. დღეს არსებითად შეიცვალა მდგომარეობა. მიწის სოციალიზაციამ მოსპო და გაანადგურა უსამართლოების ძირითადი საფუძვლები გლეხკაცების ცხოვრებაში... იმ გლეხურ ქვეყანაში, სადაც გლეხი უზრუნველყოფილია, სამეურნეო ცხოვრების აღორძინება, ცოტად თუ ბევრად, უზრუნველყოფილია.

სოფლის ცხოვრების შესწავლა აყენებს მთელ რიგ ამოცანებს ჩვენს წინაშე. მეურნეობის ინტენსიფიკაცია ფუჭი ოცნებაა, თუ ადამიანური გუთანი არ იქნა უკეთესებული და გაუმჯობესებული სასოფლო სამეურნეო იარაღები გლეხის ხელში მიმარჯვებული. მამაპაპეული გზით და საშუალებებით შეუძლებელია მაქსიმალ შედეგების მიღწევა. არსებულ პირობებში იხარჯება ცოცხალი ენერგიის კოლოსალი რაოდენობა. შრომის რეზულტატები ერთობ მიწურულია, უმნიშვნელო. მთელი ჩვენი ყურადღება უნდა იქნეს მიმართული ამ სამწუხარო გარემოების თავიდან აცილებისაკენ. უნდა დაიხარჯოს დიდძალი თანხა, არ უნდა ვერიდოთ ფინანსებს, შრომას, პროპაგანდას ამ მიმართულებით მუშაობის დროს.

ჩვენი ქვეყნის გლეხკაცობა ფსიქოლოგიურად ძნელად ეგუება გაუმჯობესებულ ტექნიკის შემოღებას მიწათმოქმედებაში. ამ შემთხვევაში გლეხკაცის შეხედულება მეტად ტრადიციულია. საჭიროა აგრონომიულ ცოდნის შეტანა გლეხთა უბნებში. უნდა შეინათოს ახალი ცხოვრების სხივებმა მიწის მუშის გულის სიღრმეში. სოფლად უნდა გაიმართოს აგრონომიული ხასიათის საუბრები, მოხსენებები, ლექციები. კიდევ მეტი, გამოიცეს პოპულიარი ბროშურები, დაწერილი ამ თემაზე მდაბიურის, გლეხური მასსის უმრავლესობისთვის გასაგებ ენით.

ჩვენი გლეხი არაა სათანადოთ მომზადებული და არ გაგვაჩნია სამეურნეო იარაღების საკმაო რაოდენობა. ამას უნდა მივაქციოთ მთელი ჩვენი ყურადღების ცენტრი, მთელი ჩვენი ენერგია უნდა მივაქციოთ მასსის უვიცობისა და იარაღების უქონლობის თავიდან ასაცილებლად. აშკარაა, იარაღების შეძენა სიძნელეს არ წარმოადგენს დღევანდელ პირობებში. გაცილებით უძნელესია ამ იარაღების გლეხის ხელში გადაცემა. წვრილ-ფეხა პროვოკატორების მოწამლული ენა მიმართულია ჩვენს წინააღმდეგ. თუ მოტორიანი მანქანა იქნა შემოღებული, მიჯნები მოისპობა,—დემონიური ჯადოსნობით დასძახებენ გლეხს... საჭიროა პროპაგანდა არა მარტო პოლიტიკური, არამედ აგრონომიულიც.

მომავალ მეურნეთა აღზრდის საქმეს მეტად ნაკლები ყურადღება ექცევა. ეს სამწუხარო მოვლენაა. სამეურნეო სკოლებით უნდა მოიფინოს სამეურნეო ქვეყნის მიწა-წყალი.

მიწის დეკრეტის ცხოვრებაში დაუყონებლივი გატარება, სამეურნეო იარაღების შეძენა და მათი მოხმარება სოფლის პრაქტიკაში, აგრონომიული ცოდნის შენათება მიწის მუშათა წრეებში,—აი ჩვენი მორიგი საკითხი, სოფლის სამეურნეო ცხოვრების აღორძინების მუცილებლობის წიაღიდან წამოჭრილი.

გ. მუშიშვილი.

## თერთმეტი დეკემბერი

თერთმეტი დეკემბერი ქართული ხელოვნების მესინარეებში დარჩება უჩვეულო ტრიუმფის დღედ.

ხვალ საქართველოს დედა-ქალაქი აღფრთოვანებულ მადლობისა და უსაზღვრო სიყვარულის ბურანში გახვევს შემოქმედს, რომელმაც ეს სავსებით დაიმსახურა საქართველოს სულიერ უკვდავყოფისა და განცისკროვნების საკურთხეველზე მთელი თავისი შემოქმედებითი ენერგიის დანთხევით.

იუბილე არ არის ჩვენში იშვიათი მოვლენა.

არა ერთ ბრწყინვალე მეტეორს გაუცლევია ქართული პოეზიისა და სახიობის ჰორიზონტზე, რომელთაც თავისი ხანგრძლივი ტანჯვისა და ჯვარცმის ეკვივალენტი წუთიერ დაფასებით აუნაზღაურებიათ იუბილეის სახით.

მაგრამ სულ სხვაა ხვალინდელი იუბილე.

სულ სხვაა მნიშვნელობა ხვალინდელ იუბილიარისა, რომელმაც მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში კანტით და უთანამგზავროთ განვლო ქართული სახანდაკო ხელოვნების სიცალიერით და მდუმარეობით მოცული ლაბირინტი.

თუ რომელიმე ხელოვანის ბედი საქართველოში ყოფილა მძიმე და აუტანელი, ეს ყველაზე მეტათ იაკობ ნიკოლაძის ხვედრზე შეიძლება ითქვას.

მსოფლიო გაგებითაც სახანდაკო ხელოვნება ჩამორჩენილ მდგომარეობას განიცდის: დასავლეთის სკულპტურა ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა იმ ეპოქათა ჰეგემონიისაგან, რომლებიდანაც საუკუნეთა მანძილი გვაშორებს.

იმ დროს, როდესაც ევროპის პოეზია მხატვრობა, მუსიკა დღითი დღე ანგრევს ძველ ზღუდეებს და თავდაუჯერელად მიექანება განახლების გზით, სკულპტურა კიდევ ელინურ და გოტიურ სულით არის გაჟღენთილი. იტალიის რენესანსი და მიქელ ანჯელო კვლავ მეისხანე კერპათ სდგას მსოფლიო სახანდაკო ხელოვნებაში. მხოლოდ უკანასკნელ ათეულ წელში დაიბადა ევროპულ სკულპტურის გარდატეხისა და განახლების იდეია.

რაღა უნდა ითქვას საქართველოზე!

აქ სკულპტურას, როგორც ხელოვნებას, არ ქონია ტრადიცია. ქართველი ხალხის გმირული სული ჯერ არ გადაზრდილა თიხასა და მარმარილოში.

ეს ხელოვნება ჩვენში იწყება იაკობ ნიკოლაძის სახელთან ერთად. იაკობ ნიკოლაძე ქართული სკულპტურის პიონერიცაა, გამგრძნობიც და გამნმტკიცებელიც.

ასეთი მისსია გარდა სიმძიმისა და სირთულისა იშვიათი მოვლენაა მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში.

იმდენათვე იშვიათი და უჩვეულო უნდა იყოს ჩვენი სიყვარული და თანაგრძნობა იუბილიარისადმი.

იაკობ ნიკოლაძის იუბილე ამავე დროს იქნება უტყუარი ნიშანი ქართული ხელოვნების გრანდიოზული რენესანსისა. ამიერიდან ქართველი ხალხისათვის დღემდე უცხო სახანდაკო ხელოვნება გამოახათებს დახუთული ატელიედან და მთელი ერის სიყვარულსა და ყურადღების საგნათ გახდება.

ნიკოლაძის იუბილე იქნება ურყევი გარანტია ჩვენში სკულპტურის გაღრმავება—განვითარებისა. გვინდა ვიწამოთ, რომ სულ მალე საქართველოში ეს ხელოვნება მოიძებნის თავის საკუთარ სახეს და ეროვნული კულტურის ერთ ერთი უმვარჯენი გახდება, ძით უმეტეს, რომ მის ზრდას გადაელობება „მამათა ცოდვები". მომავალი ქართველი მოქანდაკე შესძლებს გასჭედოს ნივთიერებათა თვალ უწვდენ კომბინაციაში დაუდგრომელი სული ახალი საქართველოსი.

მაშინ იქნება მეტი შესაძლებლობა თვით ხელოვანის ღირსეულ პატივისცემისა და ბედნიერების.

დღეს კი საქართველო ამბორს მიუძღვნის თავის ნიჭიერ შვილს და მის ვაჟის გვირგვინებ ნატარებ შუბლს ტკბილ გრძნობათა ფესტონებითა და მარადიული დიდებით აგვირგვინებს.

ბანი.

## სტუდიის ლატარია

დღეს რუსთაველის თეატრში მოხდება გათამაშება სტუდიის ლატარიის. ზედმეტია ლაპარაკი ამის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სტუდიას ჩვენთვის. ამ საკითხზედ ჩვენმა გაზეთმა თავის დროზედ გამოსთქვა აზრი. საყურადღებო ის არის, რომ სტუდიის მატერიალური საშუალება მხოლოდ მის მიერ გამართული ლატარიით ამოიწურება. ეს მოვლენა მეტად სავალალოა. ქართული სტუდია ვერ შესძლებს ასეთ პირობებში ნაყოფიერ მუშაობას. მთავრობამ უნდა გაუწიოს მას დახმარება, თუ კი შეუძლებელია სავსებით სტუდიის სახელმწიფო ხარჯზედ აყვანა.

დღეს ყოველი შეგნებული ქართველი მოვალეა ლატარიის ბილეთები მაინც შეიძინოს და ამით თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენი კულტურის ერთი მნიშვნელოვან დარგში.

უკანასკნელად ქართულ პრესაში „ახვრის წყაროს" დადგმამ გადაჭარბებული ოპტიმიზმი გამოიწვია ქართული თეატრის აღდგენის შესახებ, პრესა ერთხმად ლაპარაკობდა, რომ რეჟისორ კ. მარჯანიშვილის ჩამოსვლით მოხდა ჩვენს სცენაზედ რევოლიუცია და ამიერიდან იწყება ჩვენი თეატრალური საქმის რენესანსი.

რა თქმა უნდა შეუძლებელია იმაზედ ლაპარაკი, რომ კ. მარჯანიშვილი დიდი ძალა არ იყოს ჩვენი სცენისათვის, ისიც ცხადია, რომ მან დიდი მიღწევები მოგვცა არსებული არტისტიული ძალებით, მაგრამ ერთი ხელოვანი, როგორი სკოლისა და ნიჭისაც არ უნდა იყოს იგი, ვერ შექმნის მტკიცე საფუძველს ჩვენი თეატრის განახლებისათვის. აქ საჭიროა სისტემატიური მუშაობა, სტუდიური მეცადინობის მაღალ საფეხურზე დაყენება და ახალი ძალების მომზადება რომელმაც ადგილი უნდა დაიკავოს არსებული თაობის შემდეგ და ნაწილობრივად დღესაც.

ყოველივე ამისათვის საჭიროა სტუდიის აღმოჩენა, როგორც მატერიალური ისე ზნეობრივი თანაგრძნობა და დახმარება.

დღეს ყოველი შეგნებული მოქალაქე უნდა მივიდეს რუსთაველის თეატრში ლატარიის დარჩენილი ბილეთები უნდა შეიძინოს, რომ სტუდიის არსებობისათვის შესძლოს დახმარების გაწევა.

ხ.

## ლოზანას კონფერენცია

**კაპიტულიაციის ქვე კომისიაში**

**ბანოვერი.** 9 დეკ. გაიმართა კაპიტულიაციის ქვე-კომისიის სხდომა, რომელზედაც დაესწრენ ისპანიის, დანიის, ჰოლანდიის, ნორვეგიის და შვეციის წარმომადგენლები. კითხვაზე—მისცემენ თუ არა ოსმალეთის დელეგაციის წევრები ამომწურავ პასუხს მოკავშირეების და ნეიტრალურ სახელმწიფოების მიერ შეტანილ წინადადებაზე, ოსმალეთის დელეგაცია პასუხს იძლევა, რომ ოსმალეთი მზად არის ყოველგვარი გარანტიები მისცეს ოსმალეთში მცხოვრებ უცხოელებს იმ პირობით, თუ ეს გარანტიები არ იქნებიან მიმართული ოსმალეთის სუვერენიტეტის წინააღმდეგ.

**ანგორის მთავრობის ახალი ინსტრუქციები**

**მოსკოვი** 9 დეკ. ანგორის მთავრობამ ისმეთ-ფაშას გადასცა ახალი ინსტრუქციები, რომელშიაც წინადადებას აძლევს მას არ წავიდეს არც ერთ დათმობაზე, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ეროვნულ ხელშეკრულების მოთხოვნილებას და დაარღვევენ ოსმალეთის სუვერენიტეტს.

**საფრანგეთი და კონფერენცია**

**მოსკოვი** 9 დეკემბ. საფრანგეთის პრესსა გამოსთქვამს შიშს ხმების გამო რომლითაც ლორდ კერზონს განძრახვა აქვს ინგლისისთვის მნიშვნელოვან საკითხების გადაწყვეტის შემდეგ დაბრუნდეს ლონდონში და მარტო დატოვოს საფრანგეთი, რათა უკანასკნელმა თვითონ შეეცადოს დანარჩენ საკითხების გადაწყვეტა.

ამის შესახებ, მატენი სწერს: „ჩვენ არ შეგვიძლია ცარიელი ხელებით წავიდეთ ლოზანიდან, როდესაც სხვები წავლენ იქიდან სავსე ხელებით".

**მოკავშირეთა პროგრამა.**

**მოსკოვი,** 9 დეკ. გაზეთი „ფინანსიალ ტაიმსი" იუწყება, რომ მოკავშირეებმა სრუტეების საკითხების გადასაწყვეტად გამოიმუშავეს შემდეგი პროგრამა: სრუტეების ორივე ნაპირებზე საერთაშორისო გარნიზონის დაწესება, სავაჭრო და თავისუფალ გემების თავისუფალი მიმოსვლა როგორც მშვიდობიანობის ისე ომის დროს განსაზღვრულ გარანტიებით, რომელნიც მიეცემა ოსმალეთს მოკავშირეების მიერ.

**ხრული შეთანხმება.**

**ბანოვერი.** 9 დეკ. ისმედ-ფაშასა და ჩიჩერინს შორის გაიმართა თათბირი, რომელიც რამოდენიმე საათი გაგრძელდა.

თათბირზე ყველა საკითხების შესახებ მიღწეულია შეთანხმება.

**ამერიკის მონაწილეობა.**

**ბანოვერი.** 9 დეკ. ლოზანიდან აუწყებიან, რომ ამერიკის ზედამხედველი თანდათან აქტიურ მონაწილეობას იღებს ლოზანას კონფერენციის მუშაობაში.

**სრუტეების კომისიაში.**

**პარიზი.** 9 დღის სხდომაზე კერზონმა განაცხადა, რომ მოკავშირეთა წინადადება შეიცავს საყოფ გარანტიებს სრუტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების და სტამბოლის დაცვის უზრუნველსაყოფად. მან სთქვა, რომ მოკავშირეთ განზრახვა აქვს ძალიან რბილად განმარტონ სრუტეებში თავისუფლად მიმოსვლის პრინციპი და მათ შეეძლებათ მიანდონ ოსმალეთს მარმარილოს ზღვის ზღვისპირთ გამაგრებულ ადგილების დაცვა. მოკავშირეებს აგრეთვე შესაძლებლად მიაჩნია ოსმალეთის ჯარების ყოლა განიარაღებულ ზონაში, მოკავშირეები ფიქრობენ, რომ ოსმალეთის პრეტენზიები იმბროსის, ტენედოსის სამოთრაკის და ლემნოსის კუნძულებზე შეიცავენ პოლიტიკურ ხასიათს. ჩიჩერინმა წინადადება შეიტანა დაუშვან რუსეთის დელეგაციის ექსპერტები მოკავშირეთა და ოსმალეთის ექსპერტთა მომავალ თათბირზე. ლორდ კერზონმა უპასუხა, რომ ამას საჭიროებას ის სრულებით ვერ ხედავს, რადგანაც ის საკითხები, რომელსაც განიხილავს ექსპერტების თათბირი, სრულებით არ ეხებიან რუსეთის უშუალო ინტერესებს. ბარერმა განაცხადა, რომ საქმე მხოლოდ უბრალო აზრთა გაცვლა გამოცვლას შეეხება და თათბირს აქვს ოფიციალური ხასიათი. ჩიჩერინი დაჟინებით არ ითხოვდა თავის წინადადების მიღებას და მან განაცხადა, რომ ამ ინციდენტის შესახებ იგი წარადგენს წერილობითი დასკვნას.

**ოსმალეთის დელეგაციის წინადადებები**

**ლონდონი. 9 დეკ.** სამხედრო-ტერიტორიალურ კომისიაში ირჩევდა ისევე სრუტეების საკითხი. ისმეტ-ფაშას წარადგინა ოსმალეთის წინადადებები სრუტეების საკითხების შესახებ. მისმა სიტყვამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა აღნიშნავენ, რომ ოსმალეთის წინადადებები უფრო მორიგებითი ხასიათის არიან, ვიდრე ფიქრობდნენ.

**ლონდონი. 9 დეკ.** „ნიუ ეჯენსის" ცნობით ისმეტ ფაშამ ოსმალეთის თვალსაზრისის განმარტების დროს განაცხადა, რომ ოსმალეთმა აუცილებლად უნდა გაამაგროს სრუტეები. მან აგრეთვე განცხადებების მთელი რიგი გააკეთა მოკავშირეების გეგმების შესახებ. ლორდ კერზონის, საფრანგეთის და იტალიის დელეგაციასთან თათბირის შემდეგ პასუხს გასცემს ისმეტ-ფაშას წინადადებებზე. რუმინიის, სამხრეთ-სლავიის, ბულგარეთის და საბერძნეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათი მთავრობები იღებენ მოკავშირეთა წინადადებას სრუტეების თავისუფლების საკითხის შესახებ.

**მუსოლინი ლონდონში**

ლონდონიდან იუწყებიან, რომ მუსოლინს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა იტალიის დელეგაციასთან და ლორდ კერზონთან, რომელმაც ბანკეტი გამართა მის საპატივსაცემოდ. დღეს დილით მუსოლინი გაემგზავრა ლონდონს.

# უცხოეთი

**კომუნისტების გამარჯვება.**

**ჰანნოვერი. 9 დეკ.** ჰოლანდიის ქალაქების კომუნალურ არჩევნებში ყველგან კომუნისტები იმარჯვებენ. განსაკუთრებით ეს გამარჯვება დიდია ქრისტიანიაში, სადაც კომუნისტებმა მიიღეს უმრავლესობა გაიყვანეს მუნიციპალიტეტში.

**„მორნინგ პოსტის" შიში**

**რომი. 9 დეკ.** ლონდონიდან იუწყებიან, რომ „მორნინგ პოსტ"-ი მუსოლინზე სწერს შემდეგს: „აშკარავდება, რომ თავის საგარეო პოლიტიკაში მუსოლინი საბჭოთა რუსეთთან თანამშრომლობის გზას ადგია.

# ახალი ამბები

— **სტუდიის ლატარია.** დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე რუსთაველის თეატრში გათამაშდება დრამატიული სტუდიის ლატარია.

— **შრომის სახ. კომისარიატში.** სახალხო კომ. საბჭოში წარსადგენათ მზადდება პროექტები შემდეგი დადგენილებებისა: ა) მომრიგებელ კამერისა და სამედიატორო სასამართლოს მოწყობისა, ბ) სატარიფო საბჭოს—სატარიფო კამერათ გადაკეთების და გ) სახელმწიფო და სამხედრო დაწესებულებათა მიერ საკონფლიქტო კომისიის დადგენილებათა სისრულეში მოყვანის შესახებ.

უღარიბეს მცხოვრებთადმი—სახელმწიფო დახმარების განყოფილებას დაევალა სახალხო კომ. საბჭოში წარსადგენად შეადგინოს 1000 კაცზე პენსიის გაცემის ხარჯთაღრიცხვა, მარტო ხელთათვის საშვალო ხელფასის ერთი-მეოთხედის და ოჯახიანებისათვის ნახევარი რაოდენობის გაცემის მიხედვით.

დამტკიცებულ იქმნა ცირკულიარი, პროფკავშირების კომპენსაციიდან ისეთი კონფლიქტების გარჩევის ჩამოშორების შესახებ, რომლებიც ატარებენ იძულებითი ხასიათს.

უღარიბეს მცხოვრებთადმი სახელმწიფო დახმარების განყოფილების მოქმედება—ნოემბერში.

განყოფილება რესპუბლიკის მაშტაბით დახმარებას აძლევს პენსიონერებსა და ინვალიდებს, ტფილისში კი ამას ემატება ერთდროული ფულადი დახმარებისა და ტანისამოსის გაცემა.

— **საპენსიო დახმარება.** პენსია ეძლევათ შრომის ინვალიდებს, მათ ქვრივებსა და ამასთანავე 4 დასახიჩრებულ წითელ ინვალიდებს. 1 ნოემბრისთვის—პენსიონერთა რიცხვი უდრიდა—221 კაცს. მარტო ხელთ—ეძლევათ 350 ათასი, ხოლო ოჯახიანებს—500 ათასი მანეთი. ერთ წითელ ინვალიდს დაენიშნა გაძლიერებული პენსია 1000000 მანეთი პენსიონერთა რიცხვი ტფილისში უდრის 198 კაცს, ხოლო პროვინციაში 23 კაცს.

საპენსიო საბჭოს ქონდა 1 სხდომა, რომელზედაც გაარჩია 55 საქმე.

შეღავათი (როგორც არის ბინის ქირის გადახდაზე 1 ხარისხთან—შეთახასწორება, სანიტარულ და სწავლის გადასახადისაგან განთავისუფლება და სხ.) მიეცათ ნოემბერში 30 კაცს, პროვინციიდან ამის შესახებ ცნობები არ არის. საერთოდ ტფილისში შეღავათის მიმღებთა რიცხვი უდრის 1125 კაცს.

ერთდროული დახმარება მიეცა 35 კაცს, აქედან—5-ს დამარხვის საჭიროებისათვის, მუდმივ საცხოვრებელ ადგილის გამგზავრებისათვის 13—ს, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებისათვის—17-ს.

ტანისამოსი მიეცა უფასოდ 58 კაცს, ხოლო დაკლებულ ფასებში—98 კაცს, რაც შეადგენს სულ 41.450.000 მანეთის ღირებულებას.

ტფილისის თავისუფალ შრომის პირთა კავშირში ირიცხება 2500 კაცი, ხოლო ქუთაისში—417 კაცი.

— **მასალები წყალსადენისათვის** ქალაქ ტფილისის აღმასკომის მიერ აღძრულია შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე წყალსადენის განყოფილების განკარგულებაში სახელმწიფო დაწესებულებათა და სამხედრო უწყების დავალიანებათა ანგარიშში 850,000,000 მან. გაცემის შესახებ. აღნიშნული თანხის დანიშნულებაა ტფილისის წყალსადენისათვის უცხო ფირმებისადმი შეკვეთილი მასალების საფასურის გადახდა.

**ფოთის აღმასკომის შუამდგომლობა.** ფოთის ქალაქის აღმასკომის მიერ სახალხო კომისართა საბჭოში წარმოდგენილია მდინარე რიონის დანგრეულ ნაპირების დამთვალიერებელ კომისიის აქტი, რომლიდანაც სჩანს, რომ ოქტომბრის დამლევს მომხდარ წყალდიდობისაგან დაწიანებულია ერთად-ერთი გზატკეცილი, რომელიც აერთებს ქალაქს და ვაგზალთან ნავთსადგურთან. აღნიშნული გზის შესაკეთებლად ფოთის აღმასკომი შუამდგომლობს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, გაცემულ იქნეს განკარგულება რკინის გზისა და საზღვაო ტრანსპორტისადმი, რათა გაიღოს პირველმა გზის შესაკეთებლად საჭირო მასალა და მეორემ კი ფულადი ხარჯები.

— **საქ. წითელი ჯვრის დახმარება წყალდიდობისაგან დაზარალებულ მცხოვრებთადმი.** თანახმად საქ. წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარ სამმართველოს დადგენილებისა, გაგზავნილ იქმნა დასავლეთ საქართველოში (ქუთაისის, სენაკის და ოზურგეთის მაზრებში) წყალდიდობისაგან დაზარალებულთათვის დასარიგებლად საცვლები, თბილი ტანსაცმელი და სხვა, დაახლოვებით მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულებისა.

— ივ. გომელაურს გადმოუთარგმნია ცნობილი პედაგოგი ედ. ერტელის თხზულება: „სახალხო სკოლა და შრომის დასაბამი" მიღებულია ზომები, რომ ეს წიგნი მალე დაიბეჭდოს.

— **რუსული ხორბალი.** სასურსათო კომიტეტის მისამართზე, სახელმწიფო მომარაგების საჭიროებისათვის ოდესიდან მოდის 30000 ფ. რუსული ხორბალი.

— **ფქვილი ოსმალეთიდან.** ოსმალეთიდან ჩამოვიდენ გემები „ლაზისტანი" და „სელემეტა"—უამრავ ფქვილით დატვირთული.

— **მუშაობის განახლება კიათურ-ს ლიანდაგზე.** [illegible] მუშაობის და [illegible] მათ მიღების წყალობით, წყალდიდობით გაფუჭებული კიათურის ხაზი. აღდგენილი აქნება არა უგვიანეს დეკემბრის 10 ამ რიგად, უახლოეს დროში შესაძლებელია კიდევ მეტის ინტენსიობით განახლდეს სამრეწველო, შავი-ქვის ექსპორტი.

— **შეწირულება „ჩემო"-ს საზოგადოების მიერ.** „ჩემოს"—საზოგადოების საბჭოს მიერ დადგენილია გასცეს 25 გირვანქა სტერლინგი, „ქუჩის ბავშვთა სახლის" მომწყობ საორგანიზაციო კომისიის სახელზე.

— **ჩემოს საზოგადოების ფინანსიური ოპერაციები.** საზოგადოების დირექციის მიერ სწარმოებს მოლაპარაკება ადგილობრივ ბანკებთან, საზოგადოების თანხის—საქართველოში შესანახად და მთელი საზ. საფინანსო ოპერაციების ერთ-ერთ საქართველოს მსხვილ ბანკში გადატანაზე. ამდენ ხანს ყოველგვარი ოპერაციები სწარმოებდა საზღვარგარეთის ბანკებში, ეს კი ძლიერ დიდს უხერხულობას ქმნიდა, განსაკუთრებით ცუდი მიმოსვლის პირობების გამო.

— **ტფილისის ფულის ბირჟაზე,** 8 დეკემბერი, ამ დღეების ფულის ტრიალის ხასიათი განისაზღვრება მხოლოდ მცირე ოდენი ნორმალურის რყევით. არა ოფიციალური ტფ. ბირჟაზე ამ დღეებში რუსული თუმნიანი ღირს—1.750,000 მანეთიდან 1.760,000 მანეთამდე; ოსმალური ოქროს ლირა: 1.380,000 — 1.600.000 მან. ხოლო ქაღალდის—157,000 და 168.000 მანეთი.

— **ვერის ხიდის შეკეთება.** ვერის ხიდის შეკეთება უკვე დაწყებულია და ამისათვის ხიდის ერთი ნაწილიც გაკავებული. ხიდის შეკეთების დასრულება უნდა დამთავრდეს დაახლოვებით 1-ლ იანვრამდის, მანამ კი ხიდზე მოძრაობა შეჩერებული იქნება, როგორც ტრამვაის, ისე საბარგო მზიდავების.

— **ბათომის ბირჟა.** ოფიციალური ბათომის ბირჟის ცნობით: თათრული ქაღალდის ლირა—169,000

# იაკობ ნიკოლაძის იუბილეს გამო

საქართველოს ისტორიას არ ახსოვს მეორე იუბილე ქართველი მოქანდაკისა. ეს მოვლენა არც ისე საკვირველია, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი წარსული და აწმყო ცხოვრების სინამდვილეს.

ეს სინამდვილე კი მეტად მწირი და დამაფიქრებელია. უნდა გამოვტყდეთ, რომ წინადა სახიერების ხელოვნების დარგში ჩვენი ქვეყანა დღეს ძალიან ჩამორჩენილია.

დღევანდელ სინამდვილეში ყველაზე ჩამორჩენილი ჩვენში არის ხუროთმოძღვრება. ეს დარგი ძველთაგანვე ძლევამოსილი იყო და მის უძველეს ნაშთებს უსათუოდ აზის ქართული შემოქმედების ბეჭედი. თანამედროვე საქართველოში, თუ არის რაიმე ნიშანწყალი ქართული ხუროთმოძღვრებისა, ისიც მხოლოდ განმეორებაა ძველი ხელოვნებისა და ხშირად უგემოვნო განმეორებაც. აღსანიშნავია მხოლოდ ორი ახალი ნიმუში ძველი ხუროთმოძღვრების მიბაძვით, სადაც თავმოყრილია ქართული ხუროთმოძღვრების ნიშანდობლივი თავისებური კარ-ფანჯრის კამარები, ჩუქურთმები და ბარელიეფები. ეს არის ქაშვეთის ეკლესია და განსაკუთრებით ქართული ბანკის შენობა, სადაც დღეს მოთავსებულია განათლების კომისარიატი. ჩვენი ძველი ხუროთმოძღვრება გაყინულ წერტილზე სდგას და ოდნავ არ წაუწევია წინ.

დაგვრჩა მესამე და უმაღლესი დარგი სახიერების ხელოვნებისა. ეს გახლავთ ქანდაკება. ქანდაკება, როგორც სახიერების ნაწილობრივი ხუროთმოძღვრების დამატებას წარმოადგენს თავისი ჩუქურთმებით, სვეტებით, სვეტის ბალიშებით, ბარელიეფებით. ეს დარგი ქანდაკებისა მეტადრე ჩვენს ხუროთმოძღვრებაში ძველთაგანვე. ძველადვე ეს დარგიც უნდა საკმაოდ ყოფილიყო ჩვენში გავრცელებული და განვითარებული, რასაც ჰმოწმობს მცირეოდენი ნაშთები დაცული ჩვენს საისტორიო მუზეუმში. აქ არის მაგალითად სრული ტანით გამოქანდაკებული აზომ კუბელი (მე-10 საუკუნის ნაშთი). თუმცა სახე და ზურგის მხარე დაზიანებული აქვს, მაგრამ მოსასხამის კალთებზედაც ეტყობა დახელოვნებულ ოსტატის მარჯვე ხელი.

ჩვენ ვიცით, რომ კერპთაყვანისმცემლობის ხანაში არმაზის მთაზე ამართული იყო ორი კერპი.

ჩვენამდე არ მოუღწევია ბერძნულ, რომაულ თუ ევროპიულ ქანდაკების ნიმუშებს და ჩვენ ამ დარგში ყოვლად ღატაკნი ვართ, თუ სათვალავში არ მივიღებთ სასაფლაოს ძეგლებს.

ასეთ მწირ ფონზე გამოჩნდა ჩვენში იაკობ ნიკოლაძე, ეს ჩვენი ცხოვრების გაზაფხულის მერცხალი ქანდაკების დარგისა, საერთოდ ქანდაკება სახიერების ყველა დარგზე უფრო მწირი და ღატაკი მიღწევის საშუალებათა მხრივ. მას არ გააჩნია არც ცეცხლოვანი სიტყვა ოქროპირისა, არც მხიბლავი ფერადები და გასაქანი მხატვრობისა, არც შეზმატკბილება მუსიკისა. მის ხელთაა თიხა, ალებასტრი მარმარილო, ბრინჯაო. მისი იარაღია თახის საფხეკი, ჩაქუჩი და კვერი. ამის გამო იგი ხელოვნების ყველა დარგზე უძნელესი და უროთულესია. ამ დარგში უმაღლესი მიღწევაც ყველა დარგზე მაღლაა დაყენებული.

მოქანდაკეობას და მხატვრობას საერთოც ბევრი რამ აქვთ. ეს გახლავთ უპირველესად მოხაზულობა, მოძრაობა, პოზა, გამომეტყველება, საერთო ჰარმონია საგნის საწყობით მოხაზვა არც ისე ადვილია. აქ იწყობა განშტოება ხელოვნების სკოლისა მხატვრობაში და ნაწილობრივ ქანდაკებაშიაც.

ჩვენ [illegible] ვაიქებთ საგანთა [illegible] სინამდვილით გადმოცემას, მისი ხიბლით ლივი მოხაზულობით. საგანს მეტყველება ეძლევა მთელი მისი მოძრაობა, მისი საერთო პოზით, მის კერძო ასოთა მიმართულებით და აგრეთვე სახის მეტყველებითაც, სახის ნაწილთა მოხაზულობით, სინათლისა და ჩრდილების ცვალით. ზემოთქმული ეხება საგნის გადმოცემას თავისთავად, თავისი არსებით, თავისი შვეობით. ჩვენ ვგულისხმობთ მხოლოდ შიშველ სხეულს.

სხეულის სწორი მოხაზულობის გარდა, საჭიროა სხეულის ასოთა სითანაბრე. შეიძლება სხეულის მთლიანი მოხაზულობა ერთი და იგივე იყოს საშვალო ტიპის ქალისა და კაცისათვის, მაგრამ როდესაც მხატვარი თუ მოქანდაკე მოჰხაზავს კუნთებს, მკერდს, სახის მოყვანილობას აქ მივიღებთ რომელიმე საჰეს, შეიძლება მივიღოთ რომელიმე რასის, რომელიმე ეროვნების, რომელიმე კუთხის ტიპი. იგივე სხეული ტანისამოსში გადმოგვცემს ეროვნების ტიპების სიმდიდრე სილამაზეს, მისი ჩაცმულობის გემოვნებას, მისი ბუნების სიფაქიზეს თუ დაუდევრობას და სხვა.

ავიღოთ „ფიქრი" როდენისა, პარიზის პანთეონის წინ მდგარი. მსხვილ კუნთებიანი, ფართე მხარ-ბეჭიანი, სქელ ბარძაყებიანი შიშველი ვაჟკაცი ზის, მარჯვენა ხელი ნიდაყვით მუხლზე დაუბჯენია, მისი ზორბა მუშტი კი ნიკაპით დაწოლილია ხვედასავით მძიმე თავი, ნიკაპი შეუზნექია და ტუჩებიც წინ გამოშვერია. შუბლ შეკრული გასცქერის სივრცეს. ასეთი კუნთებ განვითარებული, ცხადია, ინტელიგენტი არ იქნება, ეს გახლავთ განხორციელებული, გაეროვნებული ჯანსაღი მუშა ხალხი თავის მძიმე სიმძიმეზე დაფიქრებული არა მჭიდრო ხარებით, არა სვედით, არა ცრემლის ფრქვევით, არამედ ვაჟკაცურად, იმედიანად, მტრის გამარჯვებით დამშვიდებული. იგივე ქანდაკება იმავე მნიშვნელობის შეინარჩუნებს ბერლინში, ლონდონში, ნიუ იორკში, მოსკოვში, ტფილისში. მაგრამ თუ მას დახურავთ თუშურ ქუდს (მხოლოდ ქუდს) მას უკვე მიეცემა ქართული ეროვნული ელფერი და ყველა იტყვის, ეს არის ქართველი მშრომელი.

დავუბრუნდეთ ჩვენი წერილის პირდაპირ საგანს, ჩვენს მოქანდაკეს იაკობ ნიკოლაძეს. ვნახოთ რის გაკეთება შეეძლო, რა გააკეთა და რისი იმედი შეიძლება ვიქონიოთ მასზე.

როგორც ბნელი ოთახიდან მცხუნვარე მზეზე გასულ ადამიანის თვალი ტყდება და თუ მზეს თვალი გაუსწორა, შეიძლება და შეეცდება კიდეც, ისე ემართება ჩამორჩენილ ქვეყნის შვილს კაცობრიობის კულტურულ ცენტრში ჩასვლის დროს. აქ ადამიანს თუ არ მისდევს მაგარი ნერვები, ძლიერი ნებისყოფა, უქრობელი შინაგანი ცეცხლი, ადვილად ჩაიფერფლება და მას გამოცხრუნება მხოლოდ სასწაული თუ შესძლებს.

ჩვენი ცხოვრების სინამდვილიდან იაკობ ნიკოლაძე ჯერ რუსეთის აკადემიას ესტუმრა მხატვრობის შესასწავლად. აქ ვერ მოთავსდა, ევროპისაკენ გაემგზავრა და იქ მხატვრობიდან მოქანდაკეობაზე გადავიდა. რუსეთში თვალ და გონება გაჩვეული ამ დარგში, პარიზი, უეჭველია, ისეთი ძლიერი მედგარიგით არ დააწვა მის ბუნებას, მის ტემპს, რომ მას ბედმა იშვიათად გაუღიმა და მოხვდა გამოჩენილ მოქანდაკე როდენის ატელიეში. აქ მისი დაუღალავი და შეკვეთით მუშაობდა თიხაზე, ალებასტრზე და მარმარილოზე. ეს ხანა მისი მოღვაწეობისა, რა თქმა უნდა, შემოქმედებითი ხანად ვერ ჩაითვლება—ეს იყო დახელოვნება, ტექნიკის განვითარება, თვალის აზრის გაფაქიზება.

საქართველოში მას ყავდა გულითადი მეგობრები და ფიქრობდა, რომ ამ მეგობრებმა შეუწყნარონ და ცუდი საშველი გაუწიონ მას. არ აცალეს მოუწიფებინ, საქმის მოთავება, შემოქმედებისათვის მტკიცე საძირკვლის ჩაყრა და მოსწყვიტეს როდენის ატელიეს, ფრთები შეასხეს იდეას ძეგლი აეგოს ზურგზე.

ზევითაც მოვიხსენიეთ, რომ ქართველი ადამიანი მცირეოდენ ნიშანწყალსაც ეძლაუქება და აზვიადებს მეტად. ისიც იგივე განმეორდა. აქედან მინაწერი წერილებით, დიდი თანხები მისცეს (ძეგლისათვის 35 ათასი იქნებოდა) და აქ ჩამოსულს კი მხოლოდ 7—8 ათასი მანეთი და გადუხადეს ამ ძეგლისათვის. ჩემის აზრით ეს იყო საბედისწერო ნაბიჯი იაკობ ნიკოლაძის სამოქანდაკეო მოღვაწეობისა. მისი ოცნება, რომ 35 ათასით შესძლებდა ძეგლის ჩამოსხმას და მერე დამოუკიდებელ შემოქმედების განვითარებას იქვე პარიზში დაიწყებდა და ამ დღიდანვე იგი ჩავარდა ლუკმა პურისათვის ბრძოლაში ჩვენი ცხოვრების მწვავე სინამდვილეში ი. ნიკოლაძე რომ როდენის ატელიეს მეტ ხანს შერჩენოდა, იგი იქვე შესძლებდა მერე დამოუკიდებელ არსებობას და თავისი ნიჭისა და მოწოდების განვითარება-გაფართოებას. შეიძლებაც ვიტყვი, მოქანდაკისათვის მხოლოდ იქ არის ნამდვილი შესაძლებლობა შემოქმედებითი მუშაობისათვის, ჩვენში კი ჯერ ბევრი დრო გაივლის, ვიდრე ქართველი მოქანდაკე შესძლებს ადგილობრივ ნიჭის გაფურჩქვნას და შექმნას უკვდავი ნაწარმოებისა. ასეთი უბადრუკია ჩვენი სინამდვილე დღეს.

იაკობ ნიკოლაძის ბუნებამ მაინც გაუძლო ევროპის კულტურას. მან შექმნა ქართველი დედა (ილიას ძეგლი). მაგრამ ეს ძეგლი არის თუ არა „ქართველი დედა"? ეს ძეგლი რომ მთაწმინდაზე კი არა მონმარტრის ან პერლაშეზის სასაფლ-

და 172.000 მანეთი საქ. ფულის ნიშნებით; ხოლო ოქროს ლირა: 755—775—პიასტრი.

— ალმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალში. დანიშნულია მოსასმენათ შემდეგი საქმეები: 12 დეკემბერს—ბრალდებული მე-12 რაიონის უფროსი მილიციონერი ქელბაქიანი მ.-ქე ტერ-მოსესოვი ყალბი დასმენის გამო მე-12 რაიონის მილიციის უფროსზე ამხ. სანანკოზე და ტერ-მოსესოვზე

—13 დეკემბერს. ბრალდებულნი არიან ავტო-რაზმის შოფერები საქართველოს დივიზიისა და „გოსინტრესტისა", ქალაქში გაუფრთხილებლად ავტომობილის ტრიალისათვის, რის გამო დამახინჯებული იქმნა ექიმი ქალი თუმანოვისა და ტრამვაის კონდუქტორი პეტროვი.

# პროვინციის ცხოვრება

**ფოთი.** ფოთის შრომის ბირჟაში დეკ. 1-ს ირიცხებოდა 180 უმუშევარი: საბჭოთა მოსამსახურე—38 კაცი და 22 ქალი. შავი მუშა—52 მამაკაცი და 50 დედაკაცი. მელითონე—4 მამაკაცი, მცირე წლოვანნი—12 მამაკაცი და 2 დედაკაცი.

**შორაპანი.** შრომის სამაზრო განყოფილების მთავარი ყურადღება მიმართულია შრომის და ტვირთზიდვის ხარკის გამოყენებისაკენ წყლის მიერ დაზიანებულ დარგში. ტვირთზიდვის ხარკის მოხდის წესით გამოყვანილ იქმნა 37 მუშა და 131 ურემი. კონფლიქტებს არ ქონია ადგილი.

**ახალ-სენაკი.** შრომის ბირჟაში გატარებულია 20 უმუშევარი. სამუშაოდ გაიგზავნა 12 კაცი. იყო კონფლიქტის 4 შემთხვევა: ორი გადაწყდა მუშათა სასარგებლოდ, ერთი გადაეცა სახ. სასამართლოს და ერთი გათავდა მორიგებით. შრომის კანონების დარღვევას არ ქონია ადგილი ყველა დაწესებულებანი უზრუნველყოფილია საანგარიშო წიგნაკებით.

**ბათომი.** ოდესიდან მოდის სასურსათო კომის სახელზე 3.000 ფუთი ხორბალი.

— ბორტ-მომქმედთა მიერ გაძარცულ იქმნა ტრანსპორტზე მომუშავეთა პროფკავშირის სალარო წაღებულია 50.000.000 მან.

**სოხუმი.** ოსმალეთიდან მოვიდა ნავი „ლაზისტანი" და „სელამეტ"-ი, დატვირთული პურის ფქვილით.

— აფხაზეთის მეთუთუნეთა კავშირმა მიყიდა კონსტანტინეპოლის ერთ ფირმას 76 ათასი ფუთი თამბაქო.

**სამტრედია.** ქვემო იმერეთის ყველა სასწავლებლების მასწავლებელთ 5—თვეა საჯამაგირო ასიგნოვკების დროს უბრიან სურსათის საფასურს 201 ათას მან. მაგრამ დღემდის არც ერთ მასწავლებელს ხსენებული სურსათი არ მიუღიათ. საინტერესოა ვიცოდეთ საერთოდ. მიიღებენ თუ არა მასწავლებლები სურსათსა და, თუ არ მიიღებენ, მის საფასურს რადას უქერენ? გარდა ამისა მიუხედავად ცხრილის წარდგენისა ოქტომბრისა და ნოემბრის ჯამაგირები მასწავლებლებს დღემდის არ მიუღიათ.

— დეკემბრის 3-ს ჩამოსულმა დასმა აქ წარმოადგინა ი. გედევანიშვილის ცნობილი პიესა „სინათლე", დაწვრილებით იქნება რეცენზიაში.

— **ახალი წიგნი.** ქუთაისში ისტამბება და მოკლე დროში გამოვა ი. რუხაძის წიგნი „საქართველოს ფიზ. გეოგრაფია.

— სამტრედიის ტეხნიკუმმა 45 მილიონად შეიძინა მეტად მდიდარი სამკითხველო.

— საქალაქო აღწერა სამტრედიაში ნორმალურად ჩატარდა.

— ბაზარზე სიმინდის ფასმა მოიმატა, აგრეთვე არაჩვეულებრივად გაძვირდა ფართლეულობა.

— **წვიმები.** უკანასკნელ დროს ქვემო იმერეთში წვიმები ისევ განახლდა, მცხოვრებნი შეშინებულნი არიან და კვლავ ელიან წყალდიდობას.

პირველი ადგილი სამტრედიის ბაზარზედ უჭირავს ღორის ხორცს, ქონს, შემდეგ კი კვერცხსა და ყველს. გლეხები დიდი ყურადღებით ეკიდებიან ღორის ხორცის დამზადებას.

— **ახალციხე.** განათლების განყოფილების ხელმძღვანელობით დაიწყო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მილიციაში. ლიკვიდაციის მოხდენა განსაზღვრულია სამი თვის განმავლობაში. მილიციელები დიდი ხალისით ეგებებიან.



# ი. ნიკოლაძე

## ი. ნიკოლაძეს

დღეს ჩვენ სახეებს აელვარებს სულ სხვა იერი
სულ სხვა იერი აელვარებს მინდვრებს, ტყეს, ველებს,
დღეს იმას ვამკობთ სიყვარულით, იმას უმღერით
ვინც ქვებს სულს უდგმას გრძნეულ ხელით, ქვებს ამეტყველებს.
დიდხანს გტანჯავდათ გზა ხრიოკი, გზა გლარძიანი
იყო სურვილი, გამარჯვება და იყო ნება,
ვერ მოგეშველეთ ადრეულად, დავიგვიანეთ
მაგრამ ნუ გვიწყენთ ამ უნებურ დაგვიანებას.
შენი სახელი სახსოვარი მუდამ იქნება,
გაფასებს აწმყო, მომავალი შეგასხას ქებას,
გზა კიდევ გელით... სიყვარული წინ წაუძღვება
ამიერიდან თქვენ სიცოცხლეს, თქვენ ქანდაკებას.
აწ ნუ დაჩრდილავს თქვენს ოცნებას სევდა დამწველი
აწ მარტოობის მწვავე გრძნობა შუბლს ნუ დაღარავს,
დაფნის გვირგვინი მოგერთმევა მზრუნველი ხელით
დაფნის გვირგვინით დაგამშვენებთ, დალლილს, ჰადარას.
ქართველებს უყვარს რჩეულების ნამოქმედარი
უყვარს სიტურფე, სილამაზე, უყვარს... ახალი.
იცის ვის უძღვნას აღტაცება, გრძნობა გამთბარი
ვის სიამაყე, ზიზღი, მტრობა, აწვდილი ხმალი.
დღეს ჩვენ სახეებს აელვარებს სულ სხვა იერი
სულ სხვა იერი აელვარებს მინდვრებს, ტყეს, ველებს.
დღეს იმას ვამკობთ სიყვარულით, იმას უმღერით
ვინც ქვებს სულს უდგამს გრძნეულ ხელით, ქვებს ამეტყველებს.

სოფო მ. ეღაძე.

ლაოზე იდგეს სადმე მივიდეთ მისკენ ქართველ დედის შთაგონებისა? არა. მაგრამ ადგილობრივ კი მას, ესათუოდ აქვს ნიშანდობლივი თვისები, რომელიც ბევრს მის ნაცვლად მიაჩნიათ. მისი მკლავები მეტად გამოწვეულია, მის ხელში დაფნის შტო თითქმის რაღაც გამოხატულს ეკუთვნის. აქ არის საიდუმლოება მოქანდაკისა. დიად, ქართველი დედა, რომელმაც დაჰკარგა ძვირფასი შვილი, რომელიც უხომო მწუხარებას მოუცვია და მძიმე ძაძებში გახვეულა, ეს ქართველი დედა ფეხმძიმე გახლავთ— ქართველი დედის საშო ატარებს მომავლის შესაძლებლობას, ქართველი დედა კვლავ მისცემს ქართველ ერს თავდადებულ შვილებს. ამას დაურთეთ ქართული დაბალი თავი, ნიშანი ქერისუფლებისა. ამ ქანდაკებაში არის მიღწევა ამ აზრისა მისი მცირე მსგავსება ლიუქსემბურგის მუზეუმში მყოფ ქანდაკებასთან („ორი მწუხარება" დედა და მისი ასული) მცირეოდენათაც არ ასუსტებს მოქანდაკის თავისებურობას, მით უმეტეს რომ მათ შორის განსხვავებათა უანგარიშოცაა. იქ მოდუნებით ჩამოშვებული მარცხენა ხელი, მხოლოდ მისი ძარღვებიც კი განგვაცდევინებთ მის უზომო მწუხარებას.

ავიღოთ ნიკოლაძის „ხალთმეია". აქ ნიკოლაძე ნამდვილი ევროპიელი შემოქმედია. ვნებათა ღელვაში დაბადებულ აღზრდილი სალომეა. რომელიც ნებაყოფლობით ვერ ეღირსა ცოცხალ იოანეს იქროამირ მწველ და მამხილებელ ტუჩების დაკონებას, მის მოკვეთილ, სისხლიან თავს, მის ჯერ კიდევ თბილთბილ ტუჩებს ვნებიანათ დასწაფებია, ძლიერია აქ მოძრაობაც, აზრიც მაგრამ რაოდენი ძლიერი და ქერუბანტელის მგვრელი იქნებოდა იგი, სალომეა მთელი თავისი ვნებიანი ტანით რომ იდგეს ჩვენ წინ, სადმე ყოველი მისი ნაკვთი გვეუბრა

თუმცა რიდესაც აქვს ნაწილობრივი ქანდაკება. მაგ. მისი მარმარილოს „აზრი", ლუქსემბურგის მუზეუმში, „ქადეგ სადაც მხოლოდ თავია გამოკვეთილი.

მე არ შევეხები შეკვეთილ ბიუსტებს. ეს ბიუსტები არის უდიდესი სევდა და ნაღველი ჩვენი მოქანდაკისა. ეს შეკვეთილი ძეგლები ღრნიან მის სულს, ჰფლრავენ მის გულს, ადუნებენ მის გონებას, ხშობენ ნიჭის ფრთაგაშლილობის შესაძლებლობას.

ვიტყვი მხოლოდ შოთას შესახებ. იაკობ ნიკოლაძეს შოთას ბიუსტით დაუწყვია თავისი მოქანდაკეობა და მე არა მსურს, რომ მისივე ბიუსტით დაასრულოს იგი. ამ ოცდა ხუთ წელიწადში ბევრნაირად უცდია შოთას „პოვნა" მისი მიღწევა, მაგრამ დღემდეს ცდა უნაყოფოდ რჩება. თუ შოთას უმთავრესი დამახასიათებელი, ნიშანდობლივი რამ მის ქუდში მდგომარეობს, მაშინ, ვფიქრობ, რომ საკმარისია მხოლოდ მისი ფრთიანი ქუდის დახატვა ან გამოქანდაკება და სრულს ილიუზიას მივიღებთ. მისი სახისა და მეტყველების ადსადგენად კი ცოტა რამ მეტი უნდა იყოს, ვგონებ, საჭირო. ალბად, როდისმე თვით ნიკოლაძე ან რომელიმე მოქანდაკე თუ მხატვარი, შექმნის შოთას სახეს უქუდოთ, ისეთს სახეს, რომელიც თავისთავად იმეტყველებს რომ „ვეფხვის ტყაოსანი" მხოლოდ მას შეეძლო დაეწერა. ეს მერმისის საქმეა. ჩემის აზრით ნიკოლაძემ თავი უნდა დაანებოს რუსთაველის იმ სახით გადმოცემას, რა სახითაც დღევანდლამდე სცდილობდა.

რუსთაველის თეატრში მდგარი მისი უკანასკნელი ბიუსტი შოთასი უეჭველად თავისებურია, მაგრამ მას რომ მოვხადოთ ქუდი და მიტრა დავხუროთ, პირწავარდნილი კირიონი იქნება, ამისი თქმით არ მინდა წყენა ჩემთვის ძვირფასი ადამიანისა. გულახდილობა და გულწრფელობა უპირველესი მოვალეობაა მწერლისა.

ი. ნიკოლაძემ იმდენი პირადი მწუხარება და სევდა განიცადა ამ ბოლო დროსაც, რომ მისი სული ამ სევდაში ნაწრთობი, ძლიერად უნდა გაექანოს შემოქმედებისაკენ. ამისათვის კი საჭიროა მისი გაგზავნა, მისი ძალღონისა და ენერგიის განთავისუფლება ყოველ დღიურ ცხოვრების ზრუნვისაგან.

ზემოდ მე ვუწოდე მას ზამთრის მერცხალი ჩვენი ქანდაკების დარგში. ჩემის ღრმა რწმენით მას მოყვება ბევრი სხვა მერცხლებიც ჩვენს დაზამთრებულ ცხოვრებაში და ასე იქნება ვიდრე არ გაზაფხულდება, ვიდრე ჩვენი აკადემია თავის ღირსეულ დონეს არ მიაღწევს ვიდრე მისი მოწაფენი, ტექნიკით და გამოცდილებით აღჭურვილნი თავს არ დაადწევენ ნივთიერ სიდუხჭირეს, ვიდრე ხელოვნება არ გახდება მათთვის ერთადერთ საზრუნავ საგნად, ეს კი მოხდება მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი, ჩვენი მთ ვ. რობა და კერძო მეცენატები უდიდეს მსხვერპლს გაიღებენ ამ უკვდავ და უმაღლეს ხელოვნების სამსხვერპლოზე ცეცხლის ასაგუზგუზებლად.

იაკობ ნიკოლაძის ისტორიული ღვაწლიც მხოლოდ მაშინ დაგვირგვინდება.

ვასრულებ ამ სახელდახელო საგაზეთო წერილს და ვუსურვებ ჩვენს ერთადერთ მოქანდაკეს, ჩვენს მაესტროს, სულის სიმტკიცეს და ჯანსად დღეგრძელებას.

ნ. კურდღელაშვილი.

**ხაქალაქო აღწერა ქ. ლანჩხუთში.** ჯერ კიდევ ოქტომბრის თვეში დაიწყო სამზადისი მომავალ საქალაქო აღწერის. უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი ინტელიგენცია დიდის თანაგრძნობით შეხვდა ამ კულტურულ საქმიანობას. აღმწერთა კორპორაცია შედგენილ იქნა გამოცდილ და პასუხისმგებელ ამხანაგებისაგან. სწრაფმოქმედი მეცადინეობა, აღწერის დაწყებამდე, ეცნობოდნენ ბლანკების შინაარს და სხვა. ერთი სიტყვით ყველა სერიოზულად უყურებდა მომავალ აღწერას და ამიტომ იყო, რომ აღწერამ შესამჩნევი ნაყოფიც გამოიღო. შედეგები აღწერის შედარებით წინა აღწერასთან ბევრათ უფრო სწორი და ნამდვილია.

თუ აღწერამდე საერთო რიცხვს მცხოვრებთა სთვლიდნენ ექვსი ათასამდე, ამ აღწერით გამოირკვა, რომ შვიდი ათასზე მეტი ყოფილა. ბევრი სხვა საინტერესო ცნობები მოგვცა ამ აღწერამ.

როგორც გავიგეთ, ადგილობრივ ხელის-უფლებას განზრახვა აქვს გადაიღოს ასლი აღწერის. ჩვენის აზრით ეს საჭიროც არის შემდეგი გეგმიანი მუშაობისათვის და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ცენტრალური სტატისტიკური ბიურო დაეხმარება ადგილობრივ მთავრობას ამ საქმეში.

აქაური.

# დაგვიანებული გახსნება

(მესხი ზაქრო დიდიმამიშვილის ხსოვნას)

ამ რამდენიმე თვის წინად ქ. ახალციხეში გარდაიცვალა ფილტვების ანთებით ჩვენი ამხანაგი, ჯერეთ კიდევ ახალგაზრდა საზოგადო მუშაკი, ახალციხელ ქართველობის დიდი მოჭირნახულე და მისი ინტერესების გახმსახიერებელი, მესხი ზაქრო დიდიმამიშვილი. მისმა სიკვდილმა უპირველესად მის მეგობრებს დაგვწყვიტა გული და მეორეთ, ახალციხის ქართველ მოსახლეობას გამოაკლდა მისი ღირსეული წევრი და დამამშვენებელი, მისი ჰარვარამის და მისწრაფებებ უკეთესი გამომთქმელი და მასთან უერთო მამულიშვილი.

დიად, ზაქრო დიდიმამიშვილი იყო აღგზნებული პატრიოტი, რომელსაც მხურვალედ უყვარდა თავისი [illegible] ტოვანი სამშობლო, თავისი ერი და ამავე დროს იგი [illegible] ნაციონალისტიც, რომლის აზროვნება შოვინისტიურ ნაციონალიზმს ძალიან დაშორებული იყო. ზაქრო, როგორც ნამდვილი სოციალისტი და რევოლიუციონერი ერთნაირის გულმოდგინეობით ყველა ეროვნების დაჩაგრულ ელემენტებისათვის, ხოლო უმთავრესი ბრძოლის საგანი კი იყო მისთვის ქართველი ხალხის ინტერესები.

ზაქროს მოღვაწეობას, რომ დაუკვირდეთ, ჩვენთვის ნათელი გახდება ის მთავარი ობიექტი, რისთვისაც იბრძოდა იგი და რასაც შეალია მან თავისი გონიერი ენერგია. რა იყო ის საქმე, რასაც სიტყვიერად, თუ პრაქტიკულად დაუცხრომლად დასტრიალებდა ზაქრო? ეს იყო თავისი მძიმე მესხების სულიერი თუ მატერიალური ამაღლება, კერძოდ კი თავისი თანამოძმე კათოლიკების გამოყვანა იმ რელიგიური ფანატიზმის ჭურჭიდან, რომელიც დღესაც კი ჰფლობს მათ გონებას. ზაქრომ მრავალი წერილები დაბეჭდა „სახალხო საქმეში" და მის წინაპარ ორგანოებში, რომლებშიაც აშუქებდა საკუთარ ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობის შესახებ ეროვნულ სარწმუნოებრივის მხრივ. მკითხველმა საზოგადოებამ უწყის სომხის კლერიკალების მისწრაფებანი— ქართველ კათოლიკების ხამალადევად გასომხებისა,—აი ამათ წინააღმდეგ იბრძოდა ზაქრო გატაცებით და მისი ღვაწლი ამ მხრივ, მართლაც, დაუფასებელია.

მოკლე წერილში ძნელია იმის აღნუსხვა, რაც ზაქრომ გააკეთა თავის ხალხისთვის. კერძოდ რაბათელებისთვის ის იყო ერთად ერთი ადამიანი, რომელიც ყოველთვის ჰკისრულობდა მათი ინტერესების დაცვას ყველგან, თაოსნობდა ყოველივე კეთილ საქმეს, მიმართულს რაბათელთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. უკანასკნელ ხანებში მისი კარდინალური საზრუნავი იყო დაგვირგვინება რაბათში წყლის გამოყვანის საქმისა, რისთვისაც იგი მუშაობდა დაუღალავად სიტყვით თუ საქმით, მაგრამ მის განხორციელებას თვის სიცოცხლეში ვეღარ მოესწრო. მისი მოღვაწეობის ამ მკრთალი სურათიდან აშკარად სჩანს ზაქროს მთელი ღირებულება და მისი სიკვდილი აუნაზღაურებელი დანაკლისია ახალციხის ქართველობისთვის. მე მინდა ვირწმუნო, რომ ის საქმე, რომელიც ზაქრომ გააკეთა ხალხისთვის ყველასათვის დასანახი და საგრძნობი იყო, ამიტომ მესხეთის ქართველობა არასოდეს დაივიწყებს მისთვის თავდადებულს და პოპაგე შვილს ზაქრო დიდიმამიშვილს!

ჩვენს, მის მეგობართა გულშიაც, არასოდეს ამოიშლება ზაქროს პიროვნება და მისნი საქმენი.

მესხი გოგია ხმალაძე.

# ლაზისტანი

(მცირე მოგონება).

1917 წელს სამშობლოს გარე ვიყავ, რამოდენიმე თვე სხვათაშორის ვიყავი ლაზისტანში. უსაზღვროდ ვწუხვარ, რომ არ ძალმაძს გაუზიარო მკითხველს შესაფერ აფერადებით ის შთაბეჭდილება, რომელიც მივიღე.

კოხტა, მაღალი, მხარ-ბეჭიან, სახე ხავერდოვანი და ერთი მეორეზე ულამაზესი,.. აი, ლაზი ვაჟკაცი.

ნაზი, ქართულ მაისურ ვარდის ფერ ლოყებით, ალმოსავლეთურ ცეცხლებრ გამომეტყველებით, მაგრამ მოკრძალებ მორცხვი, ტკბილი ქართულით მოუბარი, აკვანთან „ნანას" მღერალი ეს გახლავთ ლაზი ქალი.

სუფთად და კოპწიათ მორთული ოდა სახლები, ეზოში ქვები, ფორთოხლის ბაღები და ჩვენებური ქოშკრები ეზოს პირას. ლაპარაკობენ მოიხიბლელ ქართულით, ამღერებენ რუსთაველით და „გურჯობით" გულის ძგერით იხსენიებენ შავი ზღვის აქეთ ნაპირზე მყოფ საქართველოს და ყოველ აქაურ ქართველს ეკითხებიან საქართველოს ბედის ტრიალის შესახებ.

რა დღეშია ახლა საქართველო და რა მოელის მას? არ განთავისუფლდება? მეკითხებოდა იშვიათ ინტერესით ლაზისტანში ცნობილი, ლაზურ-ავტონომიურ მოძრაობის მეთაურთაგანი ზ. კარალიძე.

ჩვენ ტურქია (ოსმალეთი) არ ვიცით რას გვიპირობს, ვცდილობთ ავტონომია მივიღოთ, მაგრამ განათლებული ქართველები ამ ბოლო დროს ადარ გვიხსენებთ, არ გვანუგეშებთ და არაფერს გვერჩევთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე სტამბოლში ვსწავლობდი, იქ ოსმალურ კალენდარში 1834 წ. წავიკითხე რომ ლაზი ოსმალო არ არის, იგი ოტომანის მტერია, სახელმწიფო გადასახადს არ იხდის, სამხედრო ბეგარას გაურბის და თუ ხალიფატში (სტამბოლში) მოვიდა უთუოდ ლიდ-კაცად ხდება.

ოსმალოს კალენდარი ამბობს, რომ ჩვენ თურქები არ ვართ, მაგრამ არც გურჯებს გვიწოდებს ისე კი მათი ადმინისტრაცია გურჯებს გვეძახის, ჩვენ ქართულს ან ჭანურს, რომ გაიგონებენ, გურჯი მოდისო იტყვიან, ასევე აქ მაგრამ, როცა ჩვენ ბათომში ჩავდივართ იქ ყველა თურქს გვეძახის, ბათომის ბატონები იქ მოვაჭრე ლაზებს (მეპურეებს და სხვებს) ყველას თურქებს უწოდებენ. 1884 წელს მე და ლაზი ჭყონია ქრისტიან საქართველოში ვიყავით ქუთაისში დიმიტრი ყიფიანი ვინახულეთ რომელმაც ტფილისს წაგვიყვანა ილია ჭავჭავაძე გაგვაცნო, ჩვენ შესახებ ქართულ გაზეთში ამბები დაიწერინა და დიდ დახმარებას დაგვპირდა, გაგვაცნა თავისი მეგობარი იაკობ გოგებაშვილი და ბაგრატიონ მუხრან ბატონი.

ლაზი სტუმრები—დელეგატები მიგვიწვიეს სადილზე, სადაც გაგვაცნეს ზაქ. ჭიჭინაძე, რომელსაც ბევრი ნაწერი ქონდა ჩვენზე*) ის ხშირად დადიოდა ჩვენსკენ და გვაიმედებდა. მე თურქის მთავრობამ დევნა დამიწყო, ამის გამო ქრისტიან საქართველოში გავიქეცი, მე შემინახე მარშალმა დიმიტრი ყიფიანმა და ხელმეორედ გამაგზავნია ლაზისტანში საჩუქრებით ქართული წიგნები.

1889 წლის შემდეგ მე ქრისტიან საქართველოში არა ვყოფილვარ, თურქის მთავრობამ სივასში გადამასახლა და აი, ამ ომის დროს დავბრუნდი.

ერთხელ ჩვენში გზად გამოიარა განთქმულმა ქართველმა გიორგი წერეთელმა, რომელმაც გვითხრა, რომ დიმიტრი ყიფიანი რუსის მთავრობამ მოკლაო.

ასე მწარედ საკუთარი მამის სიკვდილი არ გვწყენია, დიდი მფარველობა უნდა ჩვენთვის დიმიტრი ყიფიანს 84 წ. ჩვენთან დელეგაციაში მყოფ ლაზებს ძალიან გაუკვირდათ, როგორ გაუბედეს მთავრობის კაცს მოკლაო. დიმიტრი ყიფიანი მარშალი რომ იყო ჩვენ ლაზებს იგი საქართველოს მთავრობა ეგონათ.

დიდი გამბედაობა და ქვეყნის სიყვარული გრძნობდა დიმიტრი ყიფიანს და მისი სიკვდილი მეტად დააახლოვებდა ჩვენს ქრისტიან საქართველოს. დიმიტრიმ გვითხრა რამდენიმე ლაზი „ბალანე" გამოგზავნეთ და აქ განათლების მივალებინებთო, დიმიტრიმ ლაზისტანში მოსვლაც აღგვითქვა, მაგრამ ალბათ არ დასცალდა. მეტი რაღა გითხრა, განათლებულო ძმაო, როცა დაბრუნდე მოიკითხე ყველა ნაცნობი ქრისტიანი ქართველი სამშობლოსთვის ეცადეთ და, თუ განთავისუფლდეთ ჩვენც გაგვიხსენეთ, ჩვენ ორივე თვალით თქვენსკენ ვიცქირებით, ნამდვილი „გურჯები" ვართ და თავისუფლება გვწყურია...

გემი უკვე დაძვრას აპირებდა. ზ. კარალიძემ ერთხელ კიდევ გადმოუძახა ქრისტიანი საქართველო გულით მოიკითხეო და თვალებზე ცრემლი ცხვირსახოცი მიიფარა. არ ვიცი რას ნიშნავდა ეს. არც ის ვიცი ამ ჟამად სად იმყოფება პატივცემული ზ. კარალიძე, 1920 წ. ის პარიზში მყოფ ინტერნაციონალ დიპლომატიას სთხოვდა ლაზისტანის ავტონომიას.

არ—და.

*) ერთ დელეგატ ლაზთაგანს ზ. ჭიჭინაძე შეეხვედრა 1920 წ. ბათომში.

# ხელოვნება

სახელმწიფო საოპერო თეატრი.

**მეოცნებე ნიამორები.** წიგნი მეშვიდე ვალერიან გაფრინდაშვილის რედაქტორობით.

(ბიბლიოგრაფია)

ქართული წიგნის სიმშილის დროს ყოველ გამოცემას ქართული შრიფტით აწყობილს ეძლევა მაღალი კულტურულ ეროვნული ხასიათი. თუ რუსეთში რევოლიუციამ გამოიწვია სიცოცხლის ზედაპირზე ყველა კულტურული ძალა, ახალი ენერგიით და რომანტიკით დაწყვეტილი, თუ რუსეთში გასაოცარი ტემპით განვითარდა ამ ოთხი წლის განმავლობაში წიგნის გამომცემლობა, ნაბეჭდი სიტყვით დიდი ტერიტორიის მოფენა, თუ რუსეთში მოხდა არა „რევოლიუცია კუჭის" მხოლოდ არამედ სულიერ კულტურისაც—ამას სამწუხაროდ ვერ ვხედავთ ჩვენში. ამას აქვს მრავალი მიზეზები აქ გაუხსნელი. ცხადია მხოლოდ: ერთად ერთი მესაიდუმლე ქართული საზოგადოების, რომლის ტანი მოწამლულია, მისი დაფარული გრძნობების და სიყვარულის მახარობელი არის ქართული წიგნი. ადვილია ცოცხალი სიტყვის მოსმენა ბოლომდე. განსაკუთრებული გულწრფელობით და გამთბარი გატაცებით უნდა იყოს დაწერილი წიგნი—რომ ბოლომდე მოუსმინო მას.

ამ გულწრფელობით და წიგნის მაღალი კულტურით არის გამოცემული „მეოცნებე ნიამორების" მეშვიდე წიგნი. რუსულ წიგნებით წვიმაშია, სახალისოა ქართული წიგნის ხილვაც.

ჟურნალი იხსნება გრ. რობაქიძის ლექსით: „ავტომედალიონი". ლექსი 1917 წელშია დაწერილი. გრ. რობაქიძეს ახასიათებს ორი პოლიუსი, ორივე მომარჯვებული ერთნაირად: ლექსის ინტიმით გალღობა და მისი ინტელექტის მარწუხით მოგრეხა, ორივე შემთხვევაში დიდი პათოსი და დაწურვაა ტემპერამენტის ლექსი „ავტომედალიონი", „დალევნთილ" ინტელექტის რკალშია მოქცეული და მასში უკვე ისმის პათოსის შორეული გრიგალი, რომელიც შემდეგ უკვე სქელ ხაზებით ტფილისის ხერხემალში გაიშალა..

„და ქვეყნის ბედი გადავტეხა ჩემ
ხერხემალზე" თუნდ
„და თუნდ რაინდი ცხოველი მზე სულ
დაიღუპოს".

ამ სტრიქონებშია მოცემული აპოკალიპსის ჩვენებანი, როგორიც ელანდებოდა იოანეს წმინდანის წინ. კუნძულ პათმოსზე.

გრიგოლ ზოდელის ლექსი „უცხო ვალები შუშაბანდში", როგორც „განწყობილებით", ისე პოეტურ სახეებით გალაკტიონ ტაბიძის მიერ გადამღერებულ მოტივების ხელ-ახალი გადამღერებაა. ეს არც ისე ახალი ზღაპარია და მისი გამეორება არავისთვის არ არის საჭირო. თვით რიტმი ლექსის დენის აღებულია „დურჯი ცხენებიდან". გრიგოლ ზოდელს, უეჭველად აქვს პოეტის ნერვი, მხოლოდ საჭიროა ლექსის დაწმენდა და გავლენისაგან განთავისუფლება.

პაოლო იაშვილის ლექსი ლილი მეუნარგიას სოფელია გარდაცვალილ ასულის ცხედარზე დაცემულ ცრემლების გულწრფელობით და მოვლებული სანთლის სინაზით.

„სამარადისო ნისლს დაუბრუნდი.
მაგრამ მგზავრობას შენსას ქვია: ბავშის სიკვდილი
ასე მგონია ფუტკარის ქუნდი
დაეცურდა შენს მკვდარ სხეულს,
ტკბილ სხეულ—ლილი.

დარჩება საუკეთესო ნიმუშად ლექსის სინათლის და ინტიმობის. „ცისფერი ყანწელების" პოეზია, რამდენადაც მე ვიცნობ მას, ამ ინტიმის განსხეულებაა. პოეზია კი ბოლოს და ბოლოს ინტიმია მხოლოდ.

პოეზიაში ისე, როგორც ცხოვრების ყოველ მოვლენაში, ხდება სრული გარდატეხა, ძიება ახალი გზების და ფორმების.

პაოლო იაშვილს მახვილი ინტუიცია ახასიათებს და ახალ გზაზე პირველ რიგებში დგას ყოველთვის. თუ რა არის ეს ახალი სიტყვა, ახალი განათება მისი, პოეტური მზერის, ამაზე შეიძლება ცალკე წერილის დაწერა. შეუძლებელია მისი ბიბლიოგრაფიის ჩარჩოში მოქცევა. ვიტყვი მხოლოდ: პაოლო იაშვილის ახალი ხაზი მგონია არის საგნის განსხეულობა, მოძებნა საგნის, რომელიც უკანასკნელად თითქოს გაქრა და დარჩა მხოლოდ მოხაზულობა მისი. ტანი კი, ის რაც ხელშესახებია, სიმძიმე, წონა—ყველაფერი ეს მაღალ სართულის სახეებში გაიძნა. კონკრეტობის შეტანა ლექსში—ეს არის უკანასკნელი ხაზი იაშვილის ლექსების. „ცისფერ ყანწელებში" პაოლო იაშვილი ყველაზე უფრო ასოციატიური პოეტია, ყოველი საგანი, ან მასში მოცემული იდეა—იწვევს ქარავანს საგნების და იდეების მაღალ ხელოვნების პრესში გატარებულს.

ახალგაზრდა პოეტ ქალის ლილი მეუნარგიას გარდაცვალება არის საწყისი, საიდანაც მოდის აწყვეტით ერთი მეორეზე საოცარი და გულწრფელობით დაბილებული სახეები, რომელიც თვალის არომატით სუნთქავენ.

ლევან ასათიანმა უკვე დებიუტი გაიმარჯვა ბარრიკადებში. „სეზონი უდ... მელო მგზავრობი." ნაზია და ჭუხარე როგორც წერო, განუმეორებელი კავალირი მისი ლექსების. მხოლოდ პოეტი უნდა ერიდოს ისეთ სტრიქონებს; რომლებშიაც გალ. ტაბიძის შორეული გამოძახილებს გაიგონებს მკითხველი ლევან ასათიანს საკმაო პოეტური ალღო აქვს და ამას უეჭველად აიშორებს თავიდან.

შემდეგ მოდის ტიციან ტაბიძის ლექსი „ცხენი ანდალუსით". უკანასკნელი გვპოვნის იმ ციკლს ლექსებისას, რომლებმაც გაიტანეს წარსული სეზონი. მხოლოდ პოეტს მინუსად უნდა ჩაეთვალოს, რომ ხსენებული ლექსი არ დაბეჭდა ერთად. ასეთი დანაწილებით ლექსი კარგავს მთლიან შთაბეჭდილებას და მარტდეს.

„ცხენი ანდალუსით" დიდი ექსპრესიით არის დაწერილი, მკითხველი უთუოდ იგრძნობს ჰიხვინს მოწყვეტილ ცხენისას, რომელიც მხედარიკით არის გაშლილი აპოკალიპსის ფონზე. აღსანიშნავია ნაპირებ გადალესილი პათოსი და შინაგანი ფორმა ლექსის—რიტმი, მართლაც რა ჯადოწვაა ამ ლექსს დაწმენდილს ალექსანდრიულ შაბით და გაფრენილს საქართველოს მერიდიანით.

გალაკტიონის ლექსი „ცისფერი ქალები" ქალის ლიმილით და სინაზით არის შეფერილი. აქედან მოდის სოფლის სიწმინდე და სინედლე მისი მიწის. ეს ხაზიც უეცრად შემოიჭრა ქართულ პოეზიაში. შეიძლება ეს იყოს ხაზი საერთოდ პოეზიასი?

სერგო კლდიაშვილის „Natur morte" საინტერესოა თავის კომპოზიციით და აგრეთვე შესრულებით, მინიატიურის ფორმა უძნელესია უთუოდ. ბოდლერის და მალარმეს მინიატიურებს შემდეგ აქ სათქმელი ალარაფერი რჩება თითქმის. მიუხედავად ამისა „Natur morte" გამართლებულია ყოველ მხრით და იგი თამამად შევა საუკეთესო მინიატიურების ანტოლოგიაში.

კოლაუ ნადირაძის ახალი თემა არის თემა ყვითელი მდელოების. ვფიქრობ ეს ხაზი უფრო სუსტად არის გადმოცემული ვიდრე სხვა ხაზები პირველ წიგნში „ბალდახინში". თუმცა აქაც მრავალია პოეტის მახვილეული სახეები კარგია

„ლამის მელანი შემოადგა ტორტმანით
მინებს
გვემშვიდობება მანეკენთა ნაზი კრებული".

ვალერიან გაფრინდაშვილი ჯადოსანია უეჭველად, ხმა ამოუდგა ქიმერებს, ქარში გაბნეულ საფირონებს, და განა სხლიერი ძვირფასი ქვები. გაფრინდაშვილის ფანტასტიკას გამძლეობით და მესმერიულ ჩვენებით პოეს ძიწიდან მოვარდნილ ფანტასმაგორია თუ გადაპერს რადიუმით.

მისი ყოველი ლექსი ანთებულია ახალ სახეებით. თითქმის ყოველი სიტყვა მისთვის სახეა პირველყოფილის. შესაძლებლობა სახეების მრავალეთობა ლუნ ეს ლექსს სიმძიმით. რა თქმა უნდა ამას შესაძლებლობა არსებობს მხოლოდ გაფრინდაშვილი იმდენათ ვირტუოზია ლექსის, რომ უკანასკნელი ყოველთვის გამართული გამოყავს. მის ლექსს ყოველთვის ახასიათებს მაღალი კულტურა, კეთილშობა და დასრულება. ყველა ამ ღირსებებით არის აღბეჭდილი ჟურნალში მოთავსებული ლექსიც:

„საფირონი აშორდია".

სტრიქონი

„მივსალმებ ლორნეტიან ლოტრე-
მონებს"

ამაყია ძვლებამდე,

„თეთრი ზღვები ორკესტრიდან ბლომათ ჩნდებიან და ერთი სკრიპკა ნის-
კარტების კარნავალშია"

ასეთი ზვიადი სახე, რომლის ტემპერამენტურა არას დროს არ დავცემა. გაფრინდაშვილის ლექსი მიმართულებულია მოტივის მაღალ ტრადიციებისკენ და მისი ხვეულებით არის ჩამოთლილი.

ჟურნალში აღსანიშნავია მეტად ვალ: გაფრინდაშვილის წერილი, ახალი მითოლოგია, რომელიც ახალი სიტყვაა სრულიად პოეზიაში და ტიციან ტაბიძის „ორპირის ოქროპირი მალდიხორი" დაწერილი პოეტის ხელით, ეს წერილები იმდენ მასალას იძლევიან, იმდენ ახალ საკითხებს აყენებენ, რომ საჭიროა მათზე ცალკე შეჩერება და გარჩევა.

შერეთმა.

—

**„მარგალიტის მაძიებლნი".**

ოპერა განიხილდა ა. წ. დეკემბრის 5 ს. საღამოს, საეჭვოა, რომ ამ ოპერას რაიმე შემატებინოს ბიზეს სახელისათვის, ადამიანს ძნელად სჯერა, რომ „მარგალიტის მაძიებელნი" და „კარმენი" ერთი და იგივე კომპოზიტორის ნაწარმოებია. რამდენადაც ოპერა „კარმენი" ლამაზია, მოხდენილია თავიდან ბოლომდის, წარმტაცია,—იმდენათ მკრთალი ნაწარმოებია „მარგალიტის მაძიებლნი". აქ სჭარბობს აღმოსავლეთური ეგზოტიური მუსიკა, მაგრამ მელოდიები ცოტაა. კარგია ლეილას პირველი არია, ნადირის ცნობილი არია. რუსეთში ეს ოპერა დაიკავეს იტალიელების მომღერალ მოზინისათვის, რომელმაც ვოკალური მხრით, იდეალურად შეასრულა ეს ოპერა. ოპერის შინაარსი ხელოვნურია და არა საინტერესო. ეს არ არის კარმენი—სადაც ცხოვრების რეალური დრამა გადატანილია სცენაზე, სადაც მუსიკა ასე ნათლად სახავს სინამდვილეს. ეს ოპერა ჩვენთან დადგეს ალბათ „ad hoc", რადგან დასში არის ლეილას ჩინებული შემსრულებელი (ქალ. პოპოვა) მოქ. სარაჯიშვილმა კი დიდი ხანია რაც დაიმსახურა ამ პარტიის დიდებული შემსრულებლის სახელი. ნადირის არია—ეს საყვარელი არიაა სარაჯიშვილისათვის. ორივე შემსრულებელს დიდი გამარჯვება ხვდა წილად.

პ. ბებუთოვი.

—

## დღეს თეატრებში

„სახალხო სახლი". დღეს სახალხო სახლში წარმოდგენილი იქნება ივ. გომართელის „იასონის ოჩნები" და აზიანის „გაცრუებული იმედები".

რეჟისორობს შ. დადიანი.

სახელმწიფო ოპერა. დღეს, კვირას 10 დეკემბერს ერთ საღამოს ორი ოპერა 1) ჯამბაზები მონ. ბოკოვა, გრანოვსკი, ინაშვილი, კრიაცნოვსკი და სხვ. 2) ქეთო და კოტე მონ. ცაგარელი, კავსაძე, თუმანიშვილი, ისეცკი და სხ.

—

აკაკის ძეგლი. რუსთაველის პროსპექტზე, სახელმწიფო ოპერის ბაღში დადგმული იქნება მოქანდაკე ი. ნიკოლაძის მიერ ნაკეთები აკაკის ძეგლი.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოაცხადოთ შემდეგი: აგვისტოს პირველ რიცხვებში დავიკარგე ეურმამიძეს ქ. ბათომიდან ქ. ხაშურში მოსაბრუნებელთან გაგზავნილ შემდეგი ნივთები: იაპონური პალტო, საბანი და საზაფხულო მანტო. ამ ხნის განმავლობაში ეს ნივთები დანიშნულ ადგილს ჯერ კიდევ არ მისულა. რადგანაც ეურმამიძის მისამართი არ მაქვს, ამისათვის გაზეთის საშუალებით მინდა შევეკითხო, თუ რა მიზეზით დღემდე არ მიუტანია ზემო ხსენებული ნივთები.

2 დეკ. მიურთ-კოლექტივის ხას. მდ. მღივანი ტაბუკაძე.

# პარტიაში

არჩილ ჯორჯაძის სახელობის პოლიტიკური წრე.

დღეს, დეკემბრის 10-ს, პარტიის ცენტრალური კლუბის შენობაში შესდგება მორიგი მოხსენება ამხ. გ. გაზდელიძისა: სოციალური უტოპიები—დასაწყისი დილის სრულ 10 საათზე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

**დავკარგეთ** პირადობის მოწმობები ოზურგეთში წყალდიდობის დროს ელენე ალექსანდრეს ასულმა აბაზიძე-ჭავჭავაძისამ, ანასტასია დვთისოს ასულმა ჯანდიერისამ და იოსებ გრიგოლის ძემ ჟღვიძემ. გაუქმებულად ჩაითვალოს № 356.

პირველ ხარისხოვანი სასტუმრო
„ორიანტი"
ქალაქის ცენტრში, რუსთაველის პრ. № 9.
საუკეთესო ნომრები, ვანა, ელექტრონის განათება, ტელეფონი. სასტუმროსთან რესტორანი
ევროპიული და აზიური სამზარეულოთი, საუკეთესო
მზარეულთა ზედამხედველობით.
საუზმე, სადილი, ვახშამი, სასმელები. სადილები ეძლევა ყველას 3—5½ საათამდე.
143 ფასები დაკლებულია.

მოკლე ხანში
ჯანმრთელობის სახალხო კომისარ.
ფარმაცევტიული განყოფილება
ხსნის
მეორე მაღაზიას
ყოფილ ახვლედიანის აფთიაქის შენობაში,
რუსთაველის პროსპექტისა (ყოფ. გოლოვინის) და სამხედრო ქუჩის კუთხეში.
5—1

ჯანმრთელობის
სახალხო კომისარიატის
ფარმაცევტიული განყოფილება
გადავიდა პასკევიჩის ქუჩიდან ყოფილ კავკასიის სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობის საწყობის შენობაში, ემანუელოვისა და ბროსის ქუჩის კუთხეში.
3—2 202

ტირაჟი 1000 საქართვ. უმაღლ. ეკონ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2.